გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის

განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების

სამოქმედო გეგმა“

2014 წლის შესრულების ანგარიში

სარჩევი

I. შესავალი 3
II. კვლევის მიზანი და მეთოდები 6
III. შედეგები: განხორციელებული აქტივობები 7
1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები 7
2. ეროვნული მექანიზმები 10
3. ქალთა მხადამჭერი პროგრამები 11
4. საგანმანათლებლო მიმართულება 12
5. ჩატარებული კვლევები 15
6. ცნობიერების ამაღლება 16
7. გენდერული სტატისტიკა 16
IV. იდენტიფიცირებული პრობლემები და ზოგადი რეკომენდაციები 17

I. შესავალი

2015 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხადაჭერით მომზადდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“[1] ერთწლიანი ანგარიში.

თანამედროვე მსოფლიოში გენდერული თანასწორობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად არის აღიარებული. რეალური გენდერული თანასწორობის გარეშე შეუძლებელია ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება. მსოფლიო ბანკის 2012 წლის ანგარიშში ხაზგასმულია გენდერული საკითხების როლი და აღნიშნულია, რომ: „გენდერული თანასწორობა წარმოადგენს განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზანს. ამავე დროს ის გონივრულად დაგეგმილი ეკონომიკის საფუძველია. გენდერული თანასწორობა ზრდის პროდუქტულობას, ხელს უწყობს მომავალი თაობის განვითრებას და უზრუნველყოფს გენდერულ ბალანსს ინსტიტუციებში“[2].

მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე უკვე საუკუნეებია, რაც დგას ქალთა დისკრიმინაციის, ქალთა მიმართ ძალადობისა და გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის პრობლემა.

ქალისა და კაცის თანასწორობის საკითხს არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ქალს საზოგადოებაში დაქვემდებარებულის სტატუსი ჰქონდა; ქალს არ ეძლეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის, განათლების მიღებისა და გარკვეულ პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის უფლება. თუმცა, დროთა განმავლობაში საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებმა, არსებულმა საჭიროებებმა და დამოკიდებულებების ცვლამ, ქალის როლის ცვლილებაც გამოიწვია. გენდერული თანასწორობის ისტორია არის ქალსა და კაცს შორის ინტელექტუალურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში ცვალებადი ურთიერთობების ისტორია.

გენდერული უთანასწორობის პრობლემა არც საქართველოსთვისაა უცხო. ქვეყანაში არსებული ტრადიციები, ქალისა და მამაკაცის როლისადმი გავრცელებული

[1] www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/27264
[2] World Bank (2011) World Development Report 2012, *Gender Equality and Development*

დამოკიდებულებები და შეხედულებები უარყოფითად აისახება ქალის მდგომარეობასა თუ სტატუსზე. ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის საზოგადოებრივ, განსაკუთრებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხშირია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები; და საერთოდ, მათ შესაძლებობებსა და პოტენციალს საზოგადოება არასწორად აფასებს და სათანადოდ ვერ იყენებს.

საქართველო უკვე დიდი ხანია დემოკრატიის განვითარების გზას ადგას, რაც წარმოუდგენელია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარეშე. გენდერული თანასწორობის მიღწევას კი მნიშვნელოვანი ხელშეწყობა სჭირდება, განსაკუთრებით, კი სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოში უკვე 20 წელია, რაც ქვეყნის მთავრობა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შექმნასა და სრულყოფაზე ზრუნავს. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობისა და მოქმედი მექანიზმების შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო კონვენციებმა და რეზოლუციებმა. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW)[3]. კონვენციას ხელი მოეწერა 1979 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1981 წელს. საქართველო კონვენციას შეუერთდა 1994 წელს და შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტიდან ქვეყანაში იწყება აქტიური მუშაობა ქალთა უფლებების დაცვისა და მისთვის ღირსეული სტატუსის მოპოვებისათვის. კონვენციაში ჩამოყალიბებულია განმარტება ქალის დისკრიმინაციის შესახებ და ეხება ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას. საქართველოს მთავრობამ, კონვენციასთან შეერთებით, თავის თავზე აიღო ვალდებულება შეასრულოს კონვენციის მოთხოვნები, რომლებიც გენდერული თანასწორობის მისაღწევად განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარებას გულისხმობს.

ასევე, უნდა აღინიშნოს პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა.[4] 1995 პეკინში ჩატარდა გაეროს მე-4 მსოფლიო კონფერენცია „მოძრაობა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის“. კონფერენციაზე მონაწილე ქვეყნების მთავრობები შეთანხმდნენ ხუთწლიან სამოქმედო გეგმაზე, რომლის მიზანი იყო ქალის როლის გაძლიერება, თანასწორობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღების დონეზე. საქართველომ, სხვა

[3] http://www.ombudsman.ge/ge/education/adamianis-uflebata-dacvis-saertashoriso-meqanizmebi

[4] Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

ქვეყნებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო პეკინის კონფერენციაში, რამაც ბიძგი მისცა ქვეყანაში ეროვნული გენდერული პროგრამების განვითარებას და გენდერული თანასწორობის პოლიტკაზე მუშაობას. სწორედ ამ მომენტიდან (1997 წლიდან) საქართველოში იწყება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამომქმედო გეგმების შემუშავება.

1998 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა პირველი დოკუმენტი - „ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 1998-2000 წ.წ.“, რომელიც პეკინის სამოქმედო გეგმაში გაწერილი 12 პრიორიტეტიდან 7-ს მოიცავდა. ეს იყო საკითხები, რომელიც იმ დროს აქტუალურად მიიჩნიეს საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მას მერე მუშავდება და მტკიცდება სამოქმედო გეგმები: 1998-2000 წ.წ., 2001-2004 წ.წ., 2007-2009 წ.წ., 2010-2013 წ.წ., **2014-2016 წ.წ..**

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ ანგარიში, ერთი წლის შედეგების შეფასება. საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭომ, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლიც 2014 წლის 24 იანვარს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული. აღნიშნული სამოქმედო გეგმა 8 პრიორიტეტებს მოიცავს. ესენია:

1. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
2. განათლება და ცნობიერების დონის ამაღლება;
3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში;
4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
6. ქალი და პოლიტიკა;
7. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში;
8. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში.

II. კვლევის მიზანი და მეთოდები

კვლევის მიზანი

2015 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა კვლევა. კვლევის მიზანი იყო „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შეფასება ერთი წლის შემდეგ - რა შესრულდა 2014 წელს დაგეგმილი ღონისძიებებიდან და რისი განხორციელება მიმდინარეობს.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებული იყო:

- სამაგიდე კვლევა - გეგმის განხორციელების პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშების შესწავლა/გაანალიზება.
- თვისებრივი კვლევა - სიღრმისეული ინტერვიუები. რესპონდენტები იყვნენ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები და ამ უწყებებში კონკრეტულად გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირები.

III. შედეგები: განხორციელებული აქტივობები

1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო აქტივობებს. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გეგმაში გათვალისწინებულია კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ჩატარება და მის საფუძველზე გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და გათვალისწინება. გასული, 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა.

„ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ [5] ევროსაბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ჰარმონიზაციის პროცესი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა იუსტიციის სამინისტრო, დაწყებულია. შემუშავებულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა ნაწილი 2014 წელს უკვე შევიდა ძალაში და 11 კანონში აისახა *(1. სისხლის სამართლის კოდექსი, 2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 5. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 6. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, 7. საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, 8. პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, 9. პატიმრობის კოდექსი, 10. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, 11. სამოქალაქო კოდექსი).* გარდა ამისა, სამინისტროს წარმომადგენლებს დიდი წვლილი მიუძღვით კონვენციის ქართული თარგმანის მომზადებაში. დოკუმენტის თარგმნის პროცესი დასრულებულია. *(გეგმა:1.3.5; 1.4.1)*

2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ინიციატივითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხადაჭერით, 49 მუნიციპალიტეტში დაინიშნენ გენდრულ საკითხთა

[5] http://www.conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/210.htm

მრჩევლები. აღნიშნული პოზიციისათვის სამინისტროსა და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ერთობლივად შემუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქციაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოზიცია არ არის კანონით დარეგულირებული და მხოლოდ რეკომენდაცია უდევს საფუძვლად. მუნიციპალიტეტებში გენდერულ საკითხთა მრჩევლის პოზიციის, როგორც მუდმივმოქმედი და სავალდებულო ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მისი საკანონმდებლო მხადაჭერა ამ მიზნით. დაწყებულია მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, შემუშავებულია სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც გულისხმობს „საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“ ცვლილებების ასახვას. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო *(გეგმა: 5.1.3.)*

2014 წლის ოქტომბერში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება (7.10. 2014 №01-74/ნ) - „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ [6] . აღნიშნული ბრძანების მიზანია: ქალთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხო დედობის უზრუნველყოფა; ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვა; უსაფრთხო აბორტის ხელშემწყობი სტრატეგიის შემუშავება; არასასურველი ორსულობის, აბორტის შესახებ ნებისმიერი ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლებისა და სელექციური აბორტების თავიდან აცილება. ბრძანება რამდენიმე ქვეპუნქტისაგან შედგება. პირველ ნაწილში „დებულება ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის თაობაზე“ აღნიშნულია, რომ „დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადებების თავიდან აცილება“ *(მუხლი: 14).*

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც აისახა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პატიმრობის ახალ კოდექსში (აღნიშნული კოდექსი ძალაში შევიდა 2014 წლის 10 მაისს), რომელიც პატიმარი ქალების მიერ გრძელვადიანი პაემნის სარგებლობის უფლებას ეხება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ქალებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო *(ეს მიზეზი დასახელდა გამოკითვის დროს),* არ შეეძლოთ გრძელვადიანი პაემნით სარგებლობა. პატიმრობის ახალ კოდექსში ნათქვმია, რომ „ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით სამინისტრომ არაუგვიანეს 2015 წლის 31

[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2514236

დეკემბრისა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში“[7]. შეიძლება ითქვას, რომ ამ ცვლილებით ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა *(გეგმა: 8.3.2).*

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“[8], რომელიც მოამზადა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. აღნიშნული რეგლამენტი ადგენს ზოგად მოთხოვნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებისათვის, განურჩევლად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ტიპისა. საკითხი გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის იმ ნაწილში, რომელიც ეხება სკოლამდელი აღზრდის სტანდარტების (საგანმანათლებლო, კვების და სხვა) განსაზღვრასა და დამტკიცებას *(გეგმა: 5.2.4).*

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით განხორციელდა 2015 წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, რომელიც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა მოამზადა. აღნიშნული დოკუმეტი დაეგზავნათ საბჭოს წევრებს, რომელთაც პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისას დააყენეს გენდერული ბიუჯეტის საკითხი, რითიც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გენდერული ბიუჯეტირების საკითხის მნიშვნელობასა და აუცილებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხადაჭერით მიმდინარეობს მუშაობა სკოლისათვის მზაობის პროგრამაზე, რომელიც 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვისაა გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის დასრულება დაგეგმილია 2015 წლის გაზაფხულისათვის, მისი დანერგვა საბავშვო ბაღებში 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყება. აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის საკითხები. აღზრდის მეთოდები და მიდგომები მოიაზრებს გენდერული თანასწორობის ასპექტებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხადაჭერით შეიმუშავა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც

[7] http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182882142.pdf
[8] http://www.government.gov.ge/files/382_40069_850565_78.pdf

დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 2 აპრილს[9]. ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვან განვითარებას, რისთვისაც შესაბამისი პირობები უნდა შექმნას. დოკუმენტი ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს და ერთ-ერთ მათგანს სწორედ თანასწორობა წარმოადგენს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ განათლების სფეროში წარმატების მისაღწევად ახლგაზრდებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობები უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ხაზგასმულია სქესიც -„საქართველოს მთავრობის მიზანია ახალგაზრდების დასაქამების უზრუნველსაყოფად შესაბამისი განათლების პირობების შექმნა ყველა ახალგაზრდისათვის განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, . . .“. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმეტი ეხება სქესობრივ და რეპორდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და უფლებებს *(გეგმა: 4.3)*. განხილულია ძალადობა და ამასთან აღნიშნულია, რომ მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

2. ეროვნული მექანიზმები

2014 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო [10] . საბჭოს ძირითადი ამოცანებია: საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შესრულების კოორდინაცია, სამოქმედო გეგმის შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, მისი განხორციელების მონიტორინგი. საბჭო შეიქმნა განუსაზღვრელი ვადით და იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) მე-14 თავი *(თავი 14. - გენდერული თანასწორობა; ქალთა გაძლიერება[1] და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა)* გენდერული თანასწორობის საკითხებს, ქალთა გაძლიერებას და მათ უფლებებს ეხება.

[9] http://msy.gov.ge/files/veko/2014%20weli/marti/_სახელმწიფო_ახალგაზრდული_პოლიტიკა.pdf
[10] https://matsne.gov.ge/ka/document/download/2391005/0/ge/pdf

3. ქალთა მხადამჭერი პროგრამები

გენდრული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რასაც სერიოზული მხარდაჭერა ჭირდება, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მხრიდან. სწორედ ამ მიზნით გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და მათ შორის, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაშიც“.

2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაიწყო სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ - განხორციელება. „აწარმოე საქართველოში“ არის სისტემური რეფორმატორული პროგრამა, რომლის ძირითადი მიზნებია: საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა; ადგილობრივი წარმოების სტიმულირება - განსაკუთრებით ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში; ახალი საწარმოების ამუშავება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

მართალია აღნიშნული პროგრამა უშუალოდ გენდერული პრობლემების მოგვარებისათვის არ არის შექმნილი, მაგრამ ქალებისათვის ახალ შესაძლებლებლობებს ქმნის. პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; ინფრასტრუქტურაზე (უძრავი ქონება) ხელმისაწვდომობა; საკონსულტაციო მომსახურება. სწორედ ამ უკანასკნელი კომპონენტის ფარგლებში იგეგმება ქალთა გადამზადება, მათთვის სპეციალური ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება. გარდა ამისა, ბენეფიციართა დაფინანსებისას ყურადღება მიექცევა იმას, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ქალთა მონაწილეობა კონკრეტულ პროექტებში, კერძოდ, საწარმოო საქმიანობაში *(გეგმა:3.3).*

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კერძოდ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა როლის გაძლიერებაზე (გეგმა: 3.5.).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა/განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას და შესაბამისად, მათი სოფლიდან მიგრაციის შეჩერებას. როგორც მოგეხსენებათ, ქალთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია მიგრაციის პროცესში, კერძოდ შრომით მიგრაციაში, რაც უაღრესად

უარყოფითად აისახება ქალთა, ბავშვთა და ოჯახის მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მსგავს პროექტებში ქალთა მონაწილეობის ზრდა.

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების სააგენტო გეგმავს სპეციალური ღონისძიებების გატარებას, მათ შორის ქალთა გადამზადებას და იმ კოოპერატივების წახალისებას, რომელთაც თავად ქალები ქმნიან. დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოოპერტივების სტატუსი მინიჭებული აქვს 722 კოოპერატივს, კოოპერატივებში გაერთიანებულია 4862 მეპაიე, მათგან 1084 (22%) - მეპაიე ქალია, 73 კოოპერატივს კი ქალი ხელმძღვანელობს.

4. საგანმანათლებლო მიმართულება

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ცოდნის დონის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით აქტიურად მუშაობენ გეგმის განხორცილებაში ჩართული უწყებები. უწყებების თანამშრომლებისათვის ხშირად არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხადაჭერით იმართება ტრენინგები და სემინარები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამოსამართლო კანდიდატების, მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების მაღალ პროფესიულ სწავლებას. სკოლის ფარგლებში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაა დანერგილი. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ახალი სასწავლო კურიკულუმი გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

აღნიშნული კურიკულუმი 2014 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. სამუშაო პროცესში იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად ჩართული იყო: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). კურიკულუმის შექმნაზე ერთობლივად მუშაობდნენ ამერიკელი, ევროპელი და ქართველი ქსპერტები და სკოლის პედაგოგები, რომლებიც ამავე დროს მოქმედი მოსამართლეები არიან. გენდერული თანასწორობის თემაზე სასწავლო კურიკულუმის

შემუშავების შემდეგ, უცხოელი ექსპერტების მიერ სკოლის პედაგოგებისათვის (მოქმედი მოსამართლეებისთვის) ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი კურიკულუმისათვის ტრენერების მომზადებას (გადამზადდა 5 მოქმედი მოსამართლე). იუსტიციის უმაღლესი სკოლის ორგანიზებით, მოქმედ მოსამართლეთათვის განხორციელდა პირველი საპილოტე - პროფესიული ტრენინგი. გენდერული თანასწორობის თემაზე შემუშავებული სასწავლო კურიკულუმით იუსტიციის უმაღლესი სკოლა მომავალში, უკვე ადგილობრივი რესურსის გამოყენებით, გეგმავს მოქმედ მოსამართლეთათვის სასამართლო სისტემის მოხელეთა სისტემატურ გადამზადებას *(გეგმა:1.2.5).*

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ფუნქციონირებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რომლის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა; სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. სწორედ ცენტრის სასწავლო პროგრამების ფარგლებში დაიწყო 2014 წლიდან პატიმარ ქალებთან მომუშავე სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადება არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების - ე.წ. „ბანგკოკის წესების“ მიხედვით. „ბანგკოკის წესები“ გულისხმობს პატიმარი ქალებისადმი მოპყრობის სტანდარტებსა და თავისებურებებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადების მიზნით, შემუშავდა სატრენინგო მოდული, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს: *პატიმარ ქალთა სპეციალური საჭიროებები სასჯელის მოხდის პერიოდში; პატიმარი ქალების მომზადება გათავისუფლებისათვის; ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზი; ქალთა დაწესებულებაში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განხილვა*[11].

სასწავლო ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „პეონი“-ს მიერ ერთობლივად უკვე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი. ცენტრი მომზადებული ტრენერების დახმარებით გეგმავს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას პატიმარ ქალებთან მოპყრობის წესების შესახებ *(გეგმა: 8.6).*

ტრენინგები სხვა უწყებებში:

[11] http://pptc.ge/cms/site_images/training%20programs/bangkokis%20cesebi.pdf

გენდერული თანასწორობის ეფექტიანი პოლიტიკის შექმნისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ჩართული ყველა ადამიანი ფლობდეს ცოდნას გენდერული თანასწორობისა საკითხებსა და მიდგომებზე, კარგად ესმოდეს ამ საკითხების მნიშვნელობა და შეეძლოს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობა. სწორედ ამ მიზნით, 2014 წელს სხვადასხვა უწყებაში არაერთი ტრენინგი ჩატარდა:

- UNDP-ს მხადაჭერით საქართველოს პარლამენტის კომიტეტების იურისტებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ეხებოდა კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ინსტრუმენტებს.
- UNDP-ის მხარდაჭერით გენდერული ბიუჯეტირების ტრენინგი ჩაუტარდათ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს.
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროგრამის - „ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისთვის“ - მხარდაჭერით მუნიციპალიტეტების მრჩევლელთათვის გენდერულ საკითხებში ჩატარდა ტრენინგი „გენდერული საკითხების ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკაში“. გარდა ამისა, იგივე კონტიგენტისათვის ტრენინგები ჩაატარა „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“.
- UNDP-ის მხარდაჭერით სამინისტროების საბიუჯეტო სამმართველოს თანამშრომელებისათვის ორგანიზებულ იქნა ტრენინგი, რომელიც ეხებოდა გენდერული ბიუჯეტსა და მის ინსტრუმენტებს.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების ცენტრმა „თანასწორობის ქსელსა“ და „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ (WIC) პარტნიორობით შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ზოგადი მიმოხილვა, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), კენჭისყრის დღის პროცედურები, არჩევნების/კენჭისყრის შედეგების შეჯამება.* აღნიშნული კურსის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდათ თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატ ქალებს (ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 85-მა კანდიდატმა ქალმა).
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროგრამის - „ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისთვის“ - სამინისტროების თანამშრომლებისათვის ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი - „გენდერული საკითხების ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკაში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა სამინისტროს წარმომადგენელმა.

5. ჩატარებული კვლევები

კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელ მსოფლიოში. იგი არსებული ვითარების შეფასების, საჭიროებების იდნეტიფიცირებისა და პრობლემების აღწერის საშუალებას იძლევა, ამასთან, ადგენს პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებს. შესაბამისად, ნებისმიერ სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას მნიშნელოვანია, წინ უძღოდეს სიტუაციის შესწავლა და ანალიზი. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმაში“ გათვალისწინებულია კვლევების ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ 2014 წელს ჩატარადა კვლევა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ბალანსის დარღვევის მიზეზების შესწავლასთან დაკავშირებით. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის მონაცემთა შედეგების ანალიზი. აღნიშნული კვლევის ანგარიშის დასრულდება მ/წ დეკემბერში *(გეგმა: 4.4.1)*.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2014 წელს განხორციელდა კვლევა ,,მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში" [12] . კვლევის ფარგლებში შესწავლილია პროფესიული განათლების მიღების ბარიერები, მათ შორის გენდერულ ჭრილში და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომლის შესაბამისადაც დაიგეგმება და განხორციელდება რიგი ღონისძიებები.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხადაჭერით (UN Women), ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ 2014 წელს საქართველოს პარლამენტში ჩატარდა გენდერული აუდიტი. ანგარიშში დეტალურად არის განხილული პარლამენტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში; ასევე, აღწერილია პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებასთან. ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს.

გენდერული აუდიტი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წელს დაიწყო ამჟამად სრულდება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული აუდიტი სხვა უწყებებშიც იგეგმება.

[12] www.mes.gov.ge/uploads/strategiaa.docx

6. ცნობიერების დონის ამაღლება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ის თუ რა იცის საზოგადოებამ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ესმის თუ არა ამ საკითხების მნიშვნელობა, თვლის თუ არა, რომ ქალი და კაცი თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ ქვეყანაში მიდინარე პროცესებში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზე. ამ მიმართულებით მასმედიას დიდი როლის შესრულება შეუძლია. ცნობიერების დონის ამაღლება გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2014 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მიეძღვნა გადაცემები ქალთა მიმართ ძალადობას, გაიმართა დისკუსიები - „ქალი და რელიგია“, „წარმატებული ქალები ძალადობის წინააღმდეგ“და სხვა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომზადებულია რგოლები - „არა ძალადობას“, „ოჯახი“ და სხვა, გავიდა რადიო გადაცემები - „სოფლად მცხოვრები ქალები“, „ვის ეშინია ფემინიზმის“, „ქალის გაძლიერება პოლიტიკაში“ და სხვა *(გეგმა: 2.6.,4.3.).*

7. გენდერული სტატისტიკა

2014 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განახლდა მონაცემთა ბაზები გენდერული სტატისტიკის შესახებ.

ცესკომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის, პირველად, მოამზადა ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა და განათავსა ოფიციალურ ვებ–გვერდზე[13].

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოადგინა გენდრული სტატისტიკა, რომელის მიხედვით 2014 წლის საგაზაფხულო მიღებაზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 3030 პირი. აქედან, 1325 ქალია, რაც მიუთითებს რომ პროფესიულ განათლებაში არ არსებობს გენდერული დისბალანსი და სისტემაში თითქმის თანაბრად არიან ჩართულები ორივე სქესის

[13] www.cec.gov.ge

წარმომადგენლები; 2014 წელს განხორციელებულ საშემოდგომო მიღებაზე სისტემაში ჩაირიცხა 2014 წლის 4119 კაცი და 2954 ქალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა უწყება, რომელიც ჩართულია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელბაში, აწარმოებს თანამშრომელთა გენდრული სტატისტიკას და ყველა განხორცილებულ ღონისძიებებში აღრიცხავს მონაწილე ქ/კ-ის რაოდენობას. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

IV. იდენტიფიცირებული პრობლემები და ზოგადი რეკომენდაციები

1. პრობლემები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათ უწყებაში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განხორციელება, თუმცა, მათი აზრით, მიმდინარე მუშაობას არა აქვს ინტენსიური და კოორდინერებული ხასიათი. ისინი თვლიან, რომ ქვეყანაში ეფექტიანი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა:

- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული მხარეების ნაკლები მზაობა.
- გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განხორციელებისათვის არსაკმარისი რესურსები.
- მონაწილე მხარეების არაკოორდინირებულობა.
- საზოგადოების მხრიდან საკითხის მნიშვნელობის არსათანადო აღქმა.

2. რეკომენდაციები

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ყველა სფეროსა და ყველა დონეზე დამოკიდებულია ეფექტურ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“. გეგმის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება, რაზეც რესპოდენტთა უმრავლესობა მიუთითებს:

- გაძლიერდეს უწყებებს შორის თანამშრომლობა.
- გაძლიერდეს უწყებების შიგნით თანამშრომლობა გენდერულ საკითხებზე.
- მონაწილე უწყებების თანამშრომელთა ცოდნის დონის ამაღლების უზრუნველყოფა.
- გეგმის განხორცილების პროცესში მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება.
- გეგმის განხორციელების მონიტორინგისათვის უფრო ეფექტიანი, უკეთ გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება.
- გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული გეგმების კოორდინირებული განხორციელება.

გზამკვლევი ჩაღრმავებული ინტერვიუსათვის

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ (UNDP) ინიციატივით მზადდება ანგარიში - თუ რა

შესრულდა ერთი წლის განმავლობაში „საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამომქმედო გეგმის“ ფარგლებში.

1. გეგმის ფარგლებში განახორციელეთ ან ახორციელებთ თუ არა კონკრეტულ აქტივობებს/ღონისძიებებს? თუ კი, აღწერეთ. რომელი აქტივობა განახორციელა თქვენმა უწყებამ? (გეგმაში გაწერილი ღონისძიებებიდან)
2. თუ განხორციელდა რომელიმე კონკრეტული აქტივობა, თვლით, რომ ყველაზე პრიორიტეტული იყო თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო (დონორმა გამოიჩინა ინიციატივა, დაავალეს უწყებას და ა.შ..)?
3. ერთი წლის გასვლის შემდეგ როგორ შეაფასებთ - გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შესრულებადია თუ არა? შეცლიდით თუ არა რამეს (ამოიღებდით ან დაამატებდით)?
4. იციან თუ არა თქვენი უწყების თანამშრომლებმა არსებული გეგმის შესახებ (იმ სეგმენტის შესახებ მაინც, რომელიც თვენთვის არის რელევანტური)?
5. გენდრული თანასწორობის პოლიტიკის გატარების კუთხით, თანამშრომლობთ თუ არა სხვა ორგანიზაციებთან? თუ კი - ვისთან და რა ფორმით?
6. თქვენი აზრით, საქართველოში მთავრობა არის თუ არა მზად, რომ განახორციელოს და გაიღოს რესურსი გეგმის შესასრულებლად?